

# ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს! ჩემს უსაყვარლეს გურულებს! მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა თითოეული მართლმადიდებლისთვის არის სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სიკეთის, იმედის მომტანი ზეიმთ ზეიმი. ეს არის დღე, რომელიც გვაერთიანებს და ქრისტესმიერი სიყვარულით გვა-ძლიერებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას! გისურვებთ სულიერ სიძლიერეს, უფლის წყალობას!!

პატივისცემით,

**ზურაბ ნასარაია**

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში

ღ



# დიდი სიყვარულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

მაცხოვრის აღდგომა არის უდიდესი ქრისტიან-ული დღესასწაული, დღე სიკეთის, სიცოცხლისა და სიხარულის. გისურვებთ რწმენაში გაძლიერებას, ქრისტეს მადლი ფარავდეს სრული-ად საქართველოს.

**დავით დარჩია**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ღ



უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ, ჩემო ოზურგეთელებო, გურულებო, მართმადიდებლებო!

მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს და რწმენაში გაძლიერებას გისურვებთ.

ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგ-კლებოდეთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

**კონსტანტინე შარაშენიძე.**

ღ


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 17 (10310) 29 აპრილი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.








მისამართი ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

რ

გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს .... სრულიად საქართველოს ფარავდეს აღდგომის ძალა და მადლი... მუდამ თქვენს სამსახურში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველო.

სეს | სურსათის ეროვნული სააგენტო

www.nfa.gov.ge




შპს „გზამშენი – 18"

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ღ

ფერმერთა მომსახურების ცენტრი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



მის: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №6

რ

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


# მილოცვა



დიდ იუბილეს, დაბადებიდან 80 წელს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის მკითხველსა და გულშემატკივარს, საქართველოს თავდ-აცვისა და შსს პენსიონერთა სოცდაცვის კავშირ „აბჯარის“ ოზურგეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ვეტერან პოლიციელს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს, **ბატონ ბეჟან (ბესო) რამიშვილს.**

**ალიონელები.**

# „ენერგო-პრო ჯორჯიას ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს



# გაგრძელდება თუ არა მდინარე აჭისწყლის ხეობაში ქვიშა-ხრეშის მოპოვების სამუშაოები?



**ალიონი.** შარშან, აგვისტოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის მოსახლეობის პერნამენტულ აქციებს, მდინარე აჭისწყლის აუზში ინერტული მასალების მოპოვების შეწყვეტის შესახებ, რადგან იქ მომუშავე პირები ვანდალურად აოხრებდნენ ხეობას, წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს მიერ ქვა-ღორღის მოპოვების დროებითი შეჩერება მოჰყვა.

სოფლის მოსახლეობას მხარდაჭერა გამოუცხადა პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა არჩილ თალაკვაძემ:

„რამდენადაც შემეძლო შევისწავლე საკითხი და მიმაჩნია, რომ სოფლის მცხოვრებთა პროტესტი სამართლიანია. ინერტული მასალის მოპოვების პროცესში არის არაერთი დარღვევა. მაღალი ალბათობით ზიანი ადგება გარემოს, მდინარე აჭისწყლის უნიკალურ ხეობას და ეკოსისტემას. ასევე, დადგენილი პრაქტიკით, ინერტული მასალის მოპოვებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობა საჭიროა, რაზეც მუნიციპალიტეტს საკუთარი პოზიცია დაფიქსირებული უნდა ჰქონდეს.

მივმართავ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-ს ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო-ს მიიღონ შესაბამისი ზომები და კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაჩერონ მდინარე აჭისწყლის ხეობაში ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროცესი, ვინაიდან იკვეთება ამის ლეგიტიმური, სამართლებრივი საფუძველი. ასევე, მიიღონ შესაბამისი ზომები ადგილზე, გარემოსადმი მიყენებული შესაძლო ზიანის გამოსწორების მიზნით.

მოსახლეობის სახელით, ვთხოვ ლიცენზიის მფლობელ მეწარმეებს გაითვალისწინონ ადგილზე შექმნილი ვითარება და გარემოს დაცვის ინტერესი.“–წერდა სოციალურ ქსელში არჩილ თალაკვაძე.

ლიცენზია შეუჩერდათ ინდმეწარმეებს „სალომე ვაშალომიძე,“ „ლავრენტი ქვილორია;“„გარდა ამისა აჭისწყლის ხეობაში ინერტული მასალის მოპოვებზე ლიცენზიები აქვთ: ფიზიკურ პირებს: არჩილ კუნჭულიას, ბიჭიკო ანთაძეს; შპს „კავკას ცემენტს ჯორჯია“-ს **(.http://alion.ge/?-view-=article-&id=1040).**

ლიხაურელთა პროტესტი ამით არ ამოწურულა და 2018 წლის 15 ნოემბერს სოფლის მოსახლეობამ ელექტრონული პეტიციით მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მდინარე აჭი-სწყლის აუზში ქვიშა-ხრეშის მოპოვების აკრძალვისა და საქართველოსეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე შესაბამისის შუამდგომლობის და-ყენების თაობაზე.

საკრებულომ 2019 წლის 26 მარტს (№116) გაუგზავნა წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილეს, გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსს მაია ზავრაშვილს. სამინისტროს პასუხის გაცემის ვადა 26 აპრილამდე აქვს.

ამჯერად გთავაზობთ მასალებს თუ რა პრინციპით გაიცემოდა სსიპ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მაია ზავრაშვილის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილიდან:

„მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განიხილა თქვენი 2017 წლის 12 ივნისის №21/6482 წერილით წარმოდგენილი მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაჭალათის და ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების ლიცენზიის გაცე-მის მიზანშეწონილების საკითხზე.

განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის წინააღმდეგი ქვიშა-ხრეშის მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე“ (№4631, 16.06. 2017 წ.)

აღნიშნული წერილის საფუძველზე გარემოს დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გასცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია №1004362, რითაც მის მფლობელს 2022 წლის 21 მარტამდე შეუძლია მდინარის აუზიდან ამოიღოს 100 500 კუბური მეტრი ქვიშა-ხრეში (ანალოგიური სქემით გაიცა სხვა ლიცენზიებიც).

2018 წლის 18 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგი-ლეს გიორგი ჩერქეზიშვილს კარიერებთან დაკავშირებით. გთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული წერილიდან: „ბიუჯეტში შემოსული მოსაკრებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამოღებული რესურსების რეალურად არსებულ ღირებულებას, რაც მონიტორინგით გამოვლინდა.

გთხოვთ მუნიციპალიტეტის სამსახურებთან ერთად შეისწავლოთ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების მოპოვებით დამდგარი პრობლემები, გადაისინჯოს ლიცენზიით საქმიანობის კანონიერება და შექმნილი პრობლემების დარეგულირების მიზნით შეიცვალოს სალიცენზიო პირობები, ხოლო შემდგომში ლიცენზიის გაცემა განხორციელდეს მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში“.

თუ რა რეაგირება გააკეთა სამინისტრომ, ეს გამოჩნდა ლიხაურელთა აგვისტოს აქციების დროს. სოფლის მოსახლეობის პრო-ტესტის შედეგად შეჩერდა ბუნებაში ვანდალური ჩარევა. მოსახლეობამ შეი-მუშ-ავა პეტიცია და სამართლებრივი გზით დაიწყო ბრძოლა.

თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ აჭისწყლის ხეობაში ერთ-ერთი ლიც-ენზიის მფლობელი შპს „კავკაზ ცემენტ ჯორჯია“ აპირებს კარიერის გახსნას.

–ერთ-ერთი ლიცენზიის მფლობელი „კავკაზ ცემენტს ჯორჯია“ აპირებს მდინარე აჭისწყლის ხეობაში კარიერის გახსნას და ქვიშა-ღორღის მოპოვების დაწყებას. მერია არ აძლევს ადგილმ-ონაცვლეობას. დღეს გვინდოდა გუბე-რნატორთან და მერთან შეხვედრა. როგორც გვითხრეს, ორთავე თბილისში იმყოფება...ვრცელდება ხმები, თითქოს ლიხაურში გარკვეული პირები მიისყიდეს და ქვიშა-ხრეშის მომპოვებლები თავისას გაიტანენ. ეს ასე არ არის, ლიხაურლები ერთად დადგებიან და არავის მისცემენ უფლებას მდინარე აჭისწყლის ხეობა კვლავ აოხრონ –გვითხრა სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა ირმა გორდელაძემ. გაზეთი „ალიონი“ აღნიშნული თემის კვლევას აგრძელებს.



## მკითხველთა საყურადღებოდ!

**გაზეთის წინა ნომერში, მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული წერილის „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ – ორგანიზაცია, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციურ მექანიზმებს ქმნის“ ავტორია ქალბატონი თეა იოსელიანი.**

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 29 აპრილი | 30 აპრილი | 1 მაისი | 2 მაისი | 3 მაისი | 4 მაისი | 5 მაისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
| მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მცირე წვიმა | მზე, ღრუბელი | მზე, | მზე, |
| +9+20 | +12+24 | +12+22 | +11+18 | +11+21 | +10+17 | +11+18 |

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ცნობილი ექიმი პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს

## დავით მდინარაძე სერი-ანასეული-ექადიის პრობლემებს უკვე ეცნობა



მმართველმა გუნდმა შუალედურ არჩევნ-ებში დეპუტატობის კანდიდატად ოზურგეთ-ელებისთვის კარგად ნაცნობი ბავშვთა ექიმი დავით მდინარაძე წარადგინა. მდინარაძეს ანას-ეულისერი-ექადიის ოლქში თხუთ-მეტამდე კონკურენტი ჰყავს. რას მიიჩნევს საკუთარ უპირატესობად, რა დაპირებებით მიდის ამომრჩევ-ელთან და საერთოდ, რატომ გადაწყვიტა საარჩევნო მარათონში ჩართვა? ამ და სხვა კითხვებზე „ალიონს" დავით მდინარაძემ უპასუხა.

როგორც ექიმს, ოზურგეთელებთან სამი ათეული წელია აქვს ურთიერთობა. გვეუბნება: „ახლა სულ სხვა ამპლუაში უნდა განვაგრძო მათი სამსახური". - იმედოვნებს, რომ შეძლებს.

**დავით მდინარაძე:** ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც უნდა ამირჩიონ, ალბათ ის არის, რომ საკმაოდ დიდი ხანია ვემსახურები ოზურგეთის მოსახლეობას ჯანდაცვის კუთ-ხით. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი ად-ამიანი გავიცანი, ყველას მიმართ სითბო და სიყვარული გამაჩნია. მი-ვიჩნევ, რომ ექიმი და-ავადებაზე მარტო ვერასდროს ვერ გაიმარჯვებს თუ გვერდით პაციენტის მშობლები და გულშემატკივრები არ გიდგას. ჩვენ ერთობლივად ვახერხებთ მათი პრობლემების მოგვარებას.

- **რატომ გადაწყვიტეთ, რომ დეპუტატობისთვის გებრძოლათ?**

- მე ვარ „ქართული ოცნების" წევრი. იყო შემოთავაზება არჩევნებში მიმეღო მონაწილე-ობა. მე დავთანხმდი. თუ მიზეზებს ჩამოვთ-ვლ-ით, ეს არის ჩემი ქალაქის, ოზურგეთის, იმ ხალხის სიყვარული, რომელსაც წლების განმავლობაში ვემსახურები. ჩემი სურვილია კვლავ გავაგრძელო მათ გვერდით დგომა.

- **როგორც დეპუტატობის კანდიდატი, რას პირდებით თქვენს ამომრჩეველს?**

- ჩვენი საარჩევნო კამპანია ინტენსიურად მიმდინარეობს. ჯერჯერობით ყველა უბანი არ შემოგვივლია, მაგრამ ვხვდებით მოსახლეობას და ვიგებთ მათი პრობლემების შესახებ. თუ მომეცა საკრებულოს წევრობის, ამ პრობლემების მოგვარება იქნება ჩემი უპირველესი საზრუნავი. ყველაზე აქტუალური ინფრასტრუ-ქტურული და სოციალური პრობლემებია.

- **ეს შუალედური არჩევნებია. დღევანდელ საკრებულოს მცირე დრო აქვს უფლებამოსილების განსახორციელებლად. მოკლე დროში რამდენად შეძლებთ განახორციელოთ თქვენი გეგმები, უკეთესობისკენ შეც-ვალოთ საკრებულოს მუშაობა?**

- ყოველ შემთხვევაში,ჩემგან მცდელობა იქნება. თუმცა, მივიჩნევ, რომ წელიწადნახევარი არც ისე პატარა დროა. მე ყველანაირად შე-ვეცდები ადგილობრივი ხელისუფლ-ების წინა-შე იმ პრობლემების დაყ-ენებას, რაც ხალხისთვის აქტუალურია, თუ რა თქმა უნდა, მოსახლეობა ჩემზე შეაჩერებს არჩევანს.

- **რა გესახებათ, პირველ რიგში, გადასაჭრელ პრობლემად?**

- ეს ნამდვილად არის წყალმომარაგება. მე ვიყავი საკრებულოს წევრი,ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო წყალმომარაგებაზე ფიქრი. არასამთავობოებთან ერთად,ჩამოვაყალიბეთ სტრატეგია. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. იყო ნაბიჯები გადადგმული, მაგრამ ბოლომდეა საქმე მისაყვანი. ვიცი, რომ ანასეულში რეზერუარი კეთდება საიდანაც მოხდება წყალმომარაგება. ტენდერი უკვე გამოცხადებულია. ამასთან ერთად, ვხედავ, რომ ანასეულში ინფრასტრუქტურის კუთხით ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ვნახე იმედაშვილის ქუჩაზე, რომელიც თითქმის ყველა წვიმის დროს ირეცხება და ნელ-ნელა უზარმაზარ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას.

- **თუ იცნობთ სხვა კანდიდატებს, ვინ მიგაჩნიათ თქვენს რეალურ კონკ-ურენტად?**

- გულახდილად გეტყვით, მე ყველას პატივს ვცემ, როგორც ქარ-თველი კაცი ქარ-თველ კაცს. ყველას ვუსურვებ წარმატებას. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ „ევროპულ საქართველოს" ცოტა მეტი შანსი აქვს.

- **რატომ?**

- იმიტომ, რომ ჯერჯერობით პო-ლიტიკურ ველზე „ევროპული საქართველო" უფრო ჩანს და საკმაოდ აქტიურადაც. შედარებით პრესტიჟული პარტიაა. რა თქმა უნდა, დამოუკიდებლ კანდიდატებსაც აქვთ გამარჯვების რეალური შანსები. ისინიც საკმაოდ ცნობილი და წარმატებული ადამიანები არიან.

- **როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო გარემოს?**

- მივიჩნევ, რომ საქართველომ ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯები გადადგა. თუნდაც ის, რომ თვითმმართველობის ბოლო არჩევნებზე რამდენიმე უბანზე გაიმარჯვა დამოუკიდებელმა კანდიდატმა, არჩევნების პროცესის დახვეწაზე, გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

**მარი კოძოევი**

# ოზურგეთის თოჯინების თეატრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

## ახალი სპექტაკლი ბავშვებისათვის



გასულ კვირას ოზურგეთის თოჯინების თეატრმა ნორჩ მაყურებელს მორიგი პრემიერა შესთავაზა. ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა **ვახტანგ გიგინეიშვილის** დადგმა ალ. პოპესკუს „როგორ იპოვეს ზღარბებმა ერთმანეთი".

ვახტანგ გიგინეიშვილმა პრემიერის შემდეგ გვითხრა, რომ სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მუსიკალური გაფორმებით **დავით მეგრელიძემ და მხატვარმა ნინო კეჭაყმაძემ.** იგი კმაყოფილი იყო როგორც მსახიობების კარგი შესრულებით ისე თოჯინების თეატრის დირექციის (**ლაშა კუტალაძე**) ყურადღებით.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: **ნინო გაგუა, მარი ქილიფთარი, ელენე კვარაცხელია, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი ვაშალომიძე, გურამ კეკელიძე, თამთა გაბრელიანი.**

დ

# ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს ლევან ქავჟარაძეს შეხვედრა მოუწყვეს

**ალიონი.** ოზურგეთის ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლეში შეხვედრა გაუმართეს ახლახან ბუქარესტში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, ოზურგეთელ ლევან ქავჟარაძეს. ცოტა ხნით ადრე იგი ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა.

შეხვედრაზე მოვიდნენ მხარისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, სპორტსმენები.

ლევან ქავჟარაძეს მიესალმნენ: გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, ოზურგეთის სპორტულ გაერთიანებათა ცენტრის ხელმძღვანელი გელა შაფაქიძე.

ლევან ქავჟარაძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ, და შემდეგ სამახსოვრო ფოტოები




გადაიღო.

როგორც სპორტულ გაერთიანებათა სამსახურის უფროსმა გელა შაფაქიძემ გვითხრა, ლევან ქავჟარაძეს 3 000 ლარს გადასცემენ.

# სახელმწიფო სტრატეგიის წარდგენა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრმა, გურიის რეგიონში, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პირველადი ჯანდაცვის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. ცენტრის ხელმძღვანელმა ლაშა შალამბერიძემ, მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია წარადგინა და მიმდინარე ღონისძიებებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა, საკოორდინაციო მართვის ცენტრში შექმნილ ახალ სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც დაგეგმილი წამლობების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ მოსახლეობას გზავნილების სახით მიეწოდება.

სტრატეგიის პრეზენტაციას გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ჯანმრთ-ელობის დაცვისა და გარემოს დაცვის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ტრენინგი გამართეს. ტრენინგზე ძირითადად უსაფრთხოების იმ ნორმების დაცვაზე იმსჯელეს, რომელიც მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებების პერიოდში უნდა იყოს დაცული. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა,



ღონისძიებების პერიოდში, მიღებული იქნება ყველა პრევენციული ზომა.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებს.

# ნელი ღირსიაშვილის ღირსეული მოღვაწეობა

სიღნაღელი ქალბატონი **ნელი ღირსი-აშვილი** გურიაში 18 წლის ასაკში გამოთხოვდა და ნატანების საბავშვო ბაღს და მუსიკ-ალურ სკოლას 55 წელი ემსახურა.

როგორც ქალბატონი ნელი ამბობს, 1965 წელს კულტურის წრის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა, ხოლო 1967 წელს ჩააბარა მუს-იკალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1971 წელს ნატანების მუსიკალურ სკოლაში დაიწყო მუშაობა - თეორიული საგნების პედაგოგად. ასწავლიდა სოლფეჯიოს, მუს. ლიტერატურას, იყო სკოლის გუნდის დირი-ჟორი და პარალელურად სკოლის პროფკ-ავშირის თავმჯდ-ომარე.

2003 წლიდან 2017 წლამდე ნატანების მუსიკალურ სკოლას ხელმძღვანელობდა, რომელიც ამ პერიოდში საგრძნობლად განვი-თარდა. სკოლაში ფუნქციონირებდა 3 განყოფილება და სწავლობდა 200 მოსწავლე, მათ შორის ბევრმა პროფესიულ წარმატებას მიაღწია. მაგ: ბელა მახარაძე-ბერკერი.

ქალბატონი ნელი, წარმატებული პედაგოგის გარდა, საუკეთესო დიასახლისი, მეუღლე, სამი შვილის დედა, ,ოთხი შვილიშვილის და სამი შვილთაშვილის ბებიაა. მიიჩნევს, რომ ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება ქალისთვის. მისმა სამივე



შვილმა დედის გავლენით მიიღო მუსიკალური განათლება. უფრო მეტიც, მისი ორი ქალიშვილი მუსიკოსია.

ოზურგეთის მუსიკალური სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **ლელა შარაშენიძემ** მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნელი ღირსიაშვილს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა მისი საუკეთესო თვისებები, რაც გამოიხატება პროფესიონალიზმში, პასუხისმგებლობასა და წესიერებაში.

**მარი კოძოევი**



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლი და ძალა გფარავდეთ, რწმენის სიძლიერესა და სულიერ სიმტკიცეს გისურვებთ!

**გიორგი ღურჯუმელიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

(ღ)



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! აღდგომა სიკვდილზე სიცოცხლის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღეა. ჩვენ გვაერთიანებს ეს დიდი დღე გვაძლიერებს ქრისტესმიერი სიყვარული. გისურვებთ კეთილი იმედების გამართლებას!

პატივისცემით, **მარიკა ჩხიკვიშვილი,**

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე.

(ღ)



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ! უფლის წყალობა და მოყვასის სიყვარული არ მოგკლებოდეთ, ჩემო გურიანთელებო და ძვირფასო ოზურგეთელებო!

**მაია ზოიძე,**

დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. გურიანთა.

(ღ)



ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ქრისტიანს.

.გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას მრავალი წლის განმავლობაში.

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

**ვასო ჩიგოგიძე,**

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

(ღ)



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ძლიერ და ერთიან საქართველოში გვეცხოვროს!

**გოჩა კილაძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

(ღ)



გილოცავთ ჩემო ოზურგეთელებო, ლაითურელებო. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. არ მოგკლებოდეთ უფლის მადლი და წყალობა. სულიერი ძლიერება და წარმატებული მომავალი.

**გია ჩაგანავა**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

(ღ)



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჯანსაღ ცხოვრებას, სულიერ ძლიერებას, სიკეთეს და სიხარულს გისურვებთ! ქრისტე აღდგა!

**გენო ჩავლეშვილი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარე

(ღ)



უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას, ჩემო თანამემამულეებო, ჩემო შრომელებო.

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

**დავით ჭაკნელიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების" თავჯდომარე

(ღ)



ჩემო ნატანებელებო!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ძლიერ და ერთიან საქართველოში გვეცხოვროს!

**თამაზ ტულუში**

მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ნატანები

(ღ)



ჩემს ბაილეთელებს, ყველა მართლმადიდებელს ვულოცავ ამ უდიდეს დღესასწაულს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და სულიერ ამაღლებას!

**პაატა კილურაძე**

(ღ) მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ბაილეთი



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჯანსაღი ცხოვრებით, სულიერი ძლიერებით, სიკეთით და სიხარულით გაითენეთ კიდევ მრავალი.

**ვალოდია ბერიძე**

(ღ) მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნარუჯა



უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას, ჩემო თანამემამულეებო, ჩემო შემოქმედელებო!

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

**თამაზ ბურჭულაძე**

მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. შემოქმედი

(ღ)




# აფთიაქი „სალბი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, აკ. წულაძის ქ. № 11

(რ)



# სამშენებლო მასალების მაღაზია „კარგო" გილოცავთ აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მის: ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 4, (გმირთა მოედანი)

(რ)



ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ აღდგომას! საყოველთაო განახლებისა და სიკვდილზე სიცოცხლის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღესასწაულს

**ალეკო მამეშვილი**

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი



უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას.

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

**ლავრენტი ბიგვავა**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე



აღდგომა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, გისურვებთ ეს დღე თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს განახლებული ცხოვრების, გამარჯვების და წარმატების საწინდარი.

**ამირან გირკელიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი



ქრისტე აღდგა! უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

გისურვებთ სულიერ სიძლიერეს, ქვეყნის გამთლიანებას და ყველა კეთილი ოცნების ასრულებას.

**ტარიელ (გელა) აროშიძე**

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე



ქრისტე აღდგა!
სულიერ სიძლიერეს,
წინსვლასა და სიხარულით
სავსე ცხოვრებას
გისურვებთ.

**თენგიზ ქუტიძე**

ა(ა)ი.პ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ ხელმძღვანელი



ჩემო ოზურგეთელებო, ასკანელებო, სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აღდგომას. სულის სიმტკიცე, მოყვასის სიყვარული, სიკეთე ყოფილიყოს მეგზური თქვენი ცხოვრებისა.

**ლევან ნინიძე**

საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ასკანა



აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ, ჩემო ოზურგეთელებო, მთისპირელებო!

უფლის წყალობით მიეგებეთ მრავალს. ძლიერი რწმენა ძლიერი ოჯახის საწინდარია. ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა. ნათელ მომავალს გისურვებთ.

**ლადო ჩავლეშვილი**

მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მთისპირიდან



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

რწმენა, ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანთა შორის ურთიერთ-პატივისცემის, თანადგომის საფუძველი. გისურვებთ საქართველოს გამთლიანებას, სიკეთეს, სიხარულს და სიძლიერეს.

**ბესო ქათამაძე**

მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნასაკირალი



ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ჩემს საყვარელ ძიმითელებს. უფლის წყალობა არ მოაკლებოდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს.
ქრისტე აღდგა!

**გელა სალუქვაძე,**

მერის წარმომადგენელი სოფ. ძიმითში.



ჩემო ოზურგეთელებო!

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას მოგილოცავთ! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და დღეგრძელობას.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.

**გელა ჭანუყვაძე**

საკრებულოს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების უფროსი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად!





ავტონაწილების მაღაზია გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს და გთავაზობთ ყველა მარკის ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს!

მის: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №3



ს/ს „იმედი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

მის: ქ. ოზურგეთი, ჭანტურიას ქ. №5

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი



**პირველი ქართველი ამა ქვეყნისა**
**თითოეული წამი მისი ცხოვრებისა - მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთად კი, მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა, მაღალი სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა.**
**ილია ჭავჭავაძე.**

„წმინდა მღელმთავარი" - მოკრძალებით წერდნენ და საუბრობდნენ, მრავალი ეთაყვანებოდა მას და ქედს იდრეკთა მისი ზნეობრივი სიწმინდის, ღვთისმოსაობის და მამულიშვილური ღვაწლის წინაშე.

დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს, ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარის მოძღვრის მაქსიმე ქიქოძის ოჯახში. მაქსიმეს და მის მეუღლეს მარიამ დგებუაძეს ტყუპი შვილები ჰყავდათ, მათგან ერთი საერო და საეკლესიო მოღვაწე გახდა, გერასიმე - გაბრიელ ეპისკოპოსის სახელით ცნობილი. დედა ადრე გარდაეცვალა. შვილების აღზრდა მამამ მაქსიმემ იკისრა. შვილებს წერა-კითხვა შეასწავლა, გლეხის შვილებსაც ასწავლიდა წერა-კითხვას და „დავითნს".

გურიელის კარის მოძღვარი მაქსიმე რუს სალდათებთაც ატარებდა წირვალოცვას, რომელსაც ერთი ქართულის მცოდნე ფელდფებელი უთარგმნიდა რუს ჯარისკაცებს, გურიელის კარზე მაქსიმეს ხშირად დაჰყავდა შვილები, რუსული წერა-კითხვა სწორედ ზემოთ დასახელებულმა ფელდფებელმა ასწავლა ბავშვებს. 10 წლის გერასიმე მამას ეხმარებოდა წირვა-ლოცვის ჩატარებაში.

### ჭაბუკობა

1837 წელს გერასიმე შევიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში.1839 წელს სწავლა განაგრძო სემინარიაში. 1841 წლის სემინარიის სიტყვიერების პროფესორმა კანევსკიმ უნიჭიერესი მოწაფე ფსკოვში გაგზავნა სასწავლებლად, სადაც თვით კანევსკი სამუშაოდ გადაიყვანეს. აქ გერასიმე სწავლობდა 1841-1843 წლებში.1844 წელს გადადის პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1845 წელს დაასრულა და სწავლა სასულიერო აკადემიაში განაგრძო. 1849 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემია. ამავე დროს გერასიმე დაქორწინდა პეტერბურგელი მღვდლის ქალიშვილზე - მარიამ ნიკოლოზის ასულ ვლადიკინაზე. რამდენიმე თვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა მეუღლესთან ერთად.

ახალგაზრდა მასწავლებელი მუშაობას იწყებს თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ სალვთისმეტყველო საგნებში.

1851 წელს, 26 წლის ასაკში გერასიმე ქიქოძეს მიანიჭეს ფიზიკა მათემატიკის პროფესორის წოდება, ღებულობს ჯილდოებს. სემინარიაში მან დაარსა ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორია.

დაიწყო სამეცნიერო მუშაობა ფილოსოფიის დარგში. ამ წლებში იგი მუშაობს ნაშრომზე „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები".

1856 წელს თბილისში იფეთქა სახადის ეპიდემიამ, რომელმაც გერასიმე ქიქოძის ცხოვრებიდან ყველაზე ძვირფასი მეუღლისა და ოთხი შვილის სიცოცხლე შეიწირა. ერთადერთი ვაჟი პეტიაც მალე გამოეცალა ხელიდან. ამ ტრაგედიის შემდეგ მამა გაბრიელი ეგზარხოს ისიდორეს ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა. მანამდე 1854 წლის 7 გიორგობისთვეს გერასიმე აკურთხეს ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად.

1858 წელს გაბრიელი აკურთხეს „არქიმანდრიტად" და დანიშნეს დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვრად. ამავე დროს შეუნარჩუნეს სემინარიის რექტორის მოადგილეობაც.

1859 წელს გადაიყვანეს გორის ეპარქიის ხელმძღვანელად და შუამთის მონასტრის წინამძღვრად.

1860 წლის 2 ივლისს იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად ეკურთხა და ამიერიდან გარდაცვალებამდე იწოდება „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა".

1869 წელს მის გამგებლობაში შევიდა აფხაზეთის ეპარქია, ხოლო 1873 წელს მას მიემატა სამეგრელოს ეპარქია. ეპისკოპოსმა გაბრიელმა ორჯერ იმოგზაურა სვანეთში, 1866 და 1877 წლებში. მისი მოღვაწეობის შემდეგ სვანეთში განმტკიცდა ქრისტიანული სარწმუნოება. 18-000 აფხაზმა მიიღო ქრისტიანობა. აიგო 200-ზე მეტი ტაძარი. შეკეთდა ნიკორწმინდის, ბიჭვინთის, მოქვის, კაცხის, ილორის ტაძრები. დაარსდა ასამდე სამრევლო სკოლა. 1887 წელს შეიქმნა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი".

1890 წელს ქუთაისში დაარსდა ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1894 წელს სასულიერო სემინარია გაიხსნა. მრევლის განათლების მიზნით, მეუფე გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა ეპარქიის ფარგლებში. ხალხთან პირად შეხვედრას და პირად საუბარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სოფლიდან სოფელში გადადიოდა და დღეში სამ-ოთხ ადგილას დამოძღვრავდა სამწყსოს, მაგრამ მრევლზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენდა გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნება, მისი პირადი მაგალითი. როგორც პედაგოგმა და მოძღვარმა, მან იცოდა ზნეობრივი აღზრდის საშუალებები. ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს მან, იაკობ გოგებაშვილის თქმით, „ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელოვანი და არსებითი წესები - კეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას .ამ წესს იგი თავადაც იცავდა, ჭრიდა შეშას, თოხნიდა, პირუტყვს საზრდოს უზიდავდა, ქათმებს აპურებდა.

ახალი ტაძრების მშენებლობის დროს ხშირად თვითონ იყო არქიტექტორი, სოფელ-სოფელ ეძებდა კარგ ოსტატებს, ზრუნავდა წესრიგზე. თურმე „თუ სადმე ეკლესიაში უსუფთაობას ნახავდა,მოიტანდა ცოცხს და თავისი ხელით დახვეტდა. „ეპისკოპოსი გაბრიელი მხოლოდ პირადი ღირსებით შემკულ ხალხს აკურთხებდა მსახურებად და არ უწევდა ანგარიშს არც თავადს არც მთავარს, არც გუბერნატორს. ცნობილია, თუ როგორ შერისხა მან გრაფი ლევაშოვი სასულიერო საქმეებში უხეში ჩარევის გამო. მეუფე გაბრიელი „ადამიანებს ენდობოდა, რათგან მათში,უპირველე ყოვლისა, ღვთის ხატებას ხედავდა და ამიტომაც მათ შიში არ ჰქონდა". ერთი მოგზაურობის დროს ავაზაკი თავს დაეცა და გაძარცვა მოუნდომა. გაბრიელი არ დაიბნა,პირჯვარი გადასახა და უთხრა: „შვილო,მე საწყალი ბერი ვარ, გაბრიელ ეპისკოპოსი, ფული სად მაქვს." ეს სახელი ავაზაკსაც გაეგონა და შეკრთა, მეუფე არ მოეშვა, სანამ თან არ წაიყვანა, გაზარდა და სკოლაში მასწავლებლად განაწესა.

მთხოვნელების შერჩევა მეუფემ არ იცოდა დიდი, პატარა, შორეული თუ ახლობელი, თავადი თუ გლეხი მისთვის ერთი იყო. უკანონობას არ მოითხოვდა და უზნეო თხოვნას არავისას არ შეუსრულებდა. მისი უბრალო და მარტივი ხასიათი მის ტანსაცმელში ჩანდა. საცხოვრებელ ოთახში და სმა-ჭამაშიც. ხშირად მნახველს ძველ სამოსელში გამოწყობილი ბერი მოსამსახურედ მიუღია.

ეპისკოპოსი გაბრიელი იყო, საოცარი მოწყალე და ქველმოქმედი. თავისი სამწყსოს ქვრივთა და ობოლთათვის ლუკმის მიმწოდებელი. იტყოდა ხოლმე, მაზრას არ ვაჭმევ, რადგან მშიერი ბევრი მეგულებაო. ერთ დიდსა და სასტიკ ზამთარში, როცა ქუთაისის ღარიბები დიდ გაჭირვებაში და განსაცდელში ჩავარდნენ. მღვდელმთავარმა თავისი ფეხით დაიარა, გაჭირვებულთა ქოხმახები და აღმოუჩინა მათ შემწეობა, რამდენიც შეეძლო. იგი თანაუგრძნობდა მდაბალ ხალხში, სწავლა-განათლების გავრცელებას. მრავალ მოსწავლეს უწვდიდა დახმარების ხელს, საკუთარ სახლში ინახავდა და სწავლის ქირასაც უხდიდა. ამ ყმაწვილებთან სადილობდა, ბაასობდა, იმ მიზნით, რომ მათში გაეღვიძებინა კეთიშობილური აზრები, მათ ნორჩ გულებში დაენერგა სიყვარული. სიმდაბლისადმი მისი დევიზი იყო: „მე არა მეკუთვნის, ყველაფერი ღვთისაა". გაბრიელ ეპისკოპოსის დღიურები საშუალებას გვაძლევს, შევიტყოთ თუ რამდენი უპატრონო მკვდარი დაუსაფლავებია,რამდენი შიშველი შეუმოსავს, რამდენი გზის ქირა გადაუხდია, რამდენი შეგირდისათვის სასწავლო ნივთი უყიდია, რამდენი სნეულისათვის უექიმია, დიდ ზამთარში ხშირად ქვრივ ობლებს შეშას და ფულს უგზავნიდა ღამ-ღამობით ჩუმად. ცნობილია ასეთი ამბავი: ერთხელ ეპისკოპოსმა გაიგო ქუთაისის ციხეში ტუსაღთა რაოდენობა, შეაკერინა საცვლები, ორი საპალნე თეთრ პურთან ერთად გაუგზავნა პატიმრებს, თან დაავალა, არავითარ შემთხვევაში არ ეხსენებინათ მისი სახელი.

მეუფე გაბრიელის თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ საოცარი სახილველი იყო ლოცვად დამდგარი ეპისკოპოსი. წირვა-ლოცვა ძლიერი სასოებით იცოდა. მიუხედავად ამისა, გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ ხშირად იყო გესლიანი წერილები, უსაფუძვლო ცილიწამებანი. ერთხელ, როდესაც ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობაზე იქადაგა, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში, ერთ-ერთმა აზნაურმა მოკვლა დაუპირა მას, ეპისკოპოსი გააფრთხილეს, მაგრამ იგი არ შედრკა, გზას არ გადაუხვია და მშვიდად ჩაუარა ბოროტგამზრახველს, იქ მყოფნი ამბობდნენ, ეპისკოპოსმა ისეთი ლმობიერებით შეხედა აზნაურს, რომ მას საკუთარი ბოროტების შერცხვაო, მას მტრებიც კი იხსენებენ, როგორც „უნიჭიერეს და ყოვლად შესანიშნავ მოძღვართმოძღვარს", ადარებენ „ეკლესიის თვით პირველ წმინდა მოძრვრებს", უწოდებდნენ „საკვირველ პედაგოგს", „არაჩვეულებრივ სიტყვის მეუფეს", „სიმართლის მასწავლებელს".

მეუფე გაბრიელი ერთ-ერთი მხურვალე დამცველი იყო ქართული ენისა ,რომელიც XIX საუკუნეში გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ის გაბედულად ებრძოდა ყველას, ვინც ეჭვის ქვეს აყენებდა მშობლიური ენის არსებობის აუცილებლობის საკითხს. ამ მიზნით დაწერა მრავალი წერილი და ქადაგება. მან ამხილა ვაი ქართველი მუხრანსკი, რომელიც წერდა, რომ მცირე ერები, მათ შორის ქართველებიც, „დიდ" ხალხში გათქვეფის აუცილებლობას ვერ აცდებოდნენ და რაც უფრო მალე მოხდებოდა ეს მოვლენა, მით უკეთესი იყო. „რით ამტკიცებ შენ, რომ ეს მოვლენა(მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნების წესი"? - ეკითხება გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრანსკის, „პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს ენის გავრცელებას, გამდიდრებას და არა დამარხვას და დაკარგვას". გაბრიელი თვლიდა, რომ „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი" სწორედ ენაა. მშობლიურ ენას მოკლებული ყოველი ხალხი მოკლებულია ყოველგვარი ინდივიდიალურ ნიშან-თვისებას და „უსარგებლოა თავისთვისაც და სხვისთვისაც".

მეუფე გაბრიელი მტკიცედ აღუდგა წინ კავკასიის სასწავლო მზრუნველის იანოვსკის წინადადებას , „ქართული სამღვდელოების გონების შეზღუდულობის გამო" პირველდაწყებით სკოლებში რუსი სამღვდელო პირები დაენიშნათ. ასე მოიქცა მაშინაც, როცა იანოვსკის პოლიტიკის გამტარებელმა ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ლევიტსკიმ სცადა სასწავლებლიდან ქართულის გაძევება. ამის გამო ლევიტსკი გააფ-რთებით ებრძოდა გაბრიელს და მოით-ხოვდა მის გადაყენებას ეპისკოპოსობიდან. ასევე დიდი უთანხმოება ჰქონდა გაბრიელს ეროვნულ ნიადაგზე ეგზარქოს ევსევისთანაც, რაც შემდგომში განხეთქილებამდეც კი მისულა. ზემდგომ დაწესებულებებთან და პიროვნებებთან ამგვარ დაპირისპირებას ხშირად მათი გულ-ისწყრომაც მოჰყვებოდა. დროდადრო გაბრიელზე საიდუმლო მეთვალყურეობაც ყოფილა დაწესებული, რადგანაც ის მთავრობის არასაიმედო კაცად იყო მიჩნეული.

ცნობილია მისი სიტყვები რუსეთის იმპერატორისადმი.

1888 წლის შემოდგომაზე საქართველოს სტუმრად ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III. ქუთაისში ჩამობრძანებული ხელმწიფე ამალით „სობოროს" ეწვია, ამბიონისაკენ გაემართა, რომ ეპისკოპოსის ხმა მოესმა-შემდეგ! რუსეთის ხელმწიფევ!...შემდეგ გაბრიელმა გაკვირვებულ და ადგილზე გახევებულ იმპერატორს მიმართა :„ეს ქვეყანა უძვირფასესი მარგალიტია შენს გვირგვინში და როგორც ასეთი, სხვა ყურადღების და ზრუნვის ღირსია, სხვა მოპყრობის ღირსია, სხვა მოპყრობას მოითხოვს, ვიდრე იმას, რასაც ადგილი აქვს".

გაბრიელ ეპისკოპოსი ებრძოდა ყოველგვარ ძალადობას, მექრთამეობას, უვიცობას, წერა-კითხვის უცოდინარობას, ადამიანის ჩაგვრას. დღითა და ღამით, სახლში თუ გზად მიმავალი მისი გულის კარი ღია იყო და შეეძლო ენუგეშებინა დაჩაგრული.

ყველაზე უფრო ბრწყინვალე და სასიქადულო მხარე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა,რომელსაც ეწოდება მოწყალება და ქველმოქმედება. სოფელ ბახვში ააშენა სკოლა ,ეკლესია, გაიყვანა გზები ,სოფელს გამოუყვანა წყალი, გახსნა გამსესხებელი სალარო, გლეხს სული მოათქმევინა, მეურნეობა ააყვავა, იგი ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისიდან, პირადად ხელმძღვანელობდა ეკლესიის აგებას.

გაბრიელის ამაგი მშობლიური სოფლისადმი მკვეთრად გამოხატა და გადმოგვცა 1897 წელს ოზურგეთში მყოფმა ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ: „...ამას ატყვია მადლიანი მარჯვენა ამ სოფლის შვილის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა (ქიქოძისა), რომელიც სოფელ ბახვში დაიბადა. აქ აღიზარდა სიყრმითვე და მერე ამავე სოფელს, მის დაჩაგრულ სოფელს ემსახურა მთელი თავისი ცოდნითა, დაუცხრომელი ენერგიითა, ჩვენში, იმ დროს მაინც პირველი მაგალითი იყო, რომ თავის სამშობლო სოფლისათვის ვისმე იმდენი ამაგი დაედო, რამდენიც გაბრიელმა ბახვს დასდო, ერთ დროს სრულიად დავრდომილი, დაქვეითებული, დაჯანდაკებული, მწირი სოფელი ბახვი დღეს გაბრიელის მეოხებით ,პირველ სოფლად ითვლება მთელს გურიაში და ცოდვა არ იქნება ,კაცმა თქვას, რომ როგორც გურიაში, ისე სხვაგან საქართველოში ამას სოფელი არ ჯობს.

უწინარეს ყოვლისა, გაბრიელმა ბახველებს აუშენა თავისი საფასით ქვითკირის ტაძარი, გაუყანა გზები, რომლებზედაც ადამიანს თვალი რჩება ხოლმე. შემდეგ ბახვისწლიდან ტოტი გადმოაგდო და ვაკიჯვრისა (ბახვიდან ზემოთ სოფელია) და ბახვის მწირი და უნაყოფო ადგილები სარწყავი გახადა, გაანაყოფიერა .იქ, სადაც მანამდე , აქაურებისავე თქმით, ერთი ჯამი სიმინდი არ მოდიოდა, დღეს ადამიანის თვალსა და გულს უხარებს მხარ-ნახევრის სიმინდის ღერი, რომელსაც სამ-სამი ტარო ამშვენებს, ტარო და მერე როგორი ტარო? თითო წყრთიანი...გააშენა ბაღები და ვენახები, ერთი სიტყვით მთელი მიდამო წალკოტად იქცა. გარდა ამისა, დაარსა სკოლა ,სადაც არა ასსა და ორასს მიუღია პირველ დაწყებითი სწავლა. მისი მეოხებითა და საფასით ათზე მეტი კაცი უმაღლეს სასწავლებელში აღიზარდნენ. არც ერთ სოფელს იმდენი ნასწავლები არა ჰყავს, რამდენიც ბახვსა, ინჟინერი გნებავთ, ექიმი, მეტყევე, იურისტი, თითო ან ორი ყველა პროფესიის კაცი ჰყავს. დიახ, სანიმუშო მოვლენა გახლავთ. აქ, სადაც ერთმა კაცმა მხოლოდ პირადი მხნეობით, ესოდენი სარგებლობა მოუტანა თავის სამშობლო სოფელსა, მისგან აღზრდილთა

გვ-7

# გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი

უფრო უნდა წარემატებიათ აქაურობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო სწავლაც არ ყოფილა თამასუქი კაიკაცობისა... თუ კიდევ სული უდგას ბახვს, ისევ გაბრიელის უხვი გულისაგან. თუ კედლები შენდება საერთო წარმატებისა ისევ გაბრიელისაგან ჩაყრილ სარძიკველზე. გაბრიელის საფასით ნაყიდ ადგილზეა, ორკლასიანი სასოფლო სკოლა, რომელზედაც დღეს ქვითკირის სახლი შენდება. სკოლის ეზოში მშვენიერი ბაღია. იქვე ვენახია, სკები. ყოველთვის სამაგალითოდ და მისაბაძად ჩაითვლება ,არამცთუ სოფ-ლისათვის, არამედ ქალაქისათვისაც. სკოლასთანავე არის წიგნთსაცავი, ჩვენდა სამწუხაროდ იმ დროს მოგვიხდა აქ გავლა, როცა მასწავლებლები ბახმაროზე იყვნენ წასულები და ამიტომ, აქაურობის მარტო გარეგანი ნახვით დავკმაყო-ფილდით" (თედო სახოკია „მოგზაურობანი" გვ.114).

### ანდერძი

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა თავის ეკლესიას. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ორი შინაარსის ანდერძი შეადგინა. ერთი - გამოსათოვარი, მეორე - ქონების შესახებ. პირველი ანდერძი ნიმუშია ეპისკოპოსის თავმდაბლობის და სინანულია მისი სამწყსოს მიმართ, სადაც ის შესთხოვს ყველას ილოცონ მისი სულისათვის. მეორე ანდერძის (ქონების შესახებ) სრული ჩამონათვალი კი ასეთია: ანდერძი ქონებისა და ფულების შესახებ, რაც სიკვდილის შემდეგ დამრჩება.

„არა რაი ჩემი ყოველივე ღვთის არს" (სიტყვები მიტროპოლიტ ფილარეტისა მის ანდერძში".

„წმინდა ხატები მაცხოვრისა და ღვთისმშობლისა, მოჭედილები დაიკიდოს ჩემი საფლავის თავზე, კედელზე გაუქრობელი ლამპარით, რომელიც ახლაც მათ წინ ანთია, სხვა ხატები, აგრეთვე საეკლესიო წიგნებიც, როგორც სლავიანური, აგრეთვე ქართული გაგზავნილ იქნას ბახვის ეკლესიაში, ძვირფასი პანაღია, ხელმწიფე იმპერატორის ბოძებული ჩემზე, აგრეთვე ძვირფასი საარქიმანდრიტო ჯვარი, რომელსაც მე ღვთის მსახურებაზე ვატარებდი შემიწირავს ქუთაისის საკათედრო ტაძრისათვის. მეორე პანაღია, რომელიც უკეთესი იქნება, მიერთვას უპირატეს არქიელს, რომელიც დაესწრება ჩემი წესის აგებაზე, გარდა ფულით შესაფერისი დაჯილდოების შრომისათვის. მესამე პანაღია მიერთვას მეორე მღვდელმთავარს ფულით საჩუქართან ერთად, თუ არ დაესწრება მეორე ეპისკოპოსი, პანაღია გადაეცეს იმავე ქუთაისის საკრებულოს ტაძარს. თუ შემდეგ დარჩება გვარიანად ახალი ანაფორა და კაბები, ებოძოს ისინი სასულიერო მსახურთ: არქიმანდრიტებს, დეკანოზებს და მთავარ დიაკვნებს ფულით საჩუქართან ერთად, დანარჩენ დაბალ წევრებს კრებულისას კი ფულით საჩუქარი.დანარჩენი სხვადასხვა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს. მაგრამ ვგრძნობდირა, რომ ასეთი დახმარება არის დროებითი და შემთხვევითი, მე ვცდილობდი აგრეთვე შემედგინა თანხა, რათა მისი სარგებელი მუდამ მოხმარებოდა ღარიბებს. აქედან ვუტოვებ ქვემორე აღნიშნულ სასწავლებლებს და საქველმოქმედო საზოგადოებებს:

1. შენახული ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში 12.200 მან. გირავნობითი ფურცლებად ბახვის სასოფლო სკოლის შესანახად, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც უკვე ამ თანხის სარგებლით,ვუტოვებ და ვუანდერძებ იმავე სკოლას საუკუნოდ.

2.საეპარქიო სამზრუნველოს სასულიერო წოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიაში 2,000 მან.

3.ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ღარიბთათვის 1,500 მან.

4.ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის 3.000 მან.

5.თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთათვის 3,000მან.

6.იმერეთის ქალთა საეპარქიო ჩემი სახელის სკოლას 5.000 მან.

7.ქუთაისის ქალთა უფასო სკოლას 2 .000 მან.

8. გელათის მონასტერს ვუტოვებ 10-00 მან. იმ პირობით, რომ ჩემი სიკვდილის დღეს ძმები სწირავდნენ ჩემთვის მონასტრის ყველა ეკლესიებში და სარგებელი დაურიგდეთ ყველა ძმებს.

9.ვუანდერძებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას ჩემ თხზულებათა გამოცემისას იმ პირობით, რომ სარგებელი გამოცემიდან ხმარდებოდეს ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს. ჩემს თხზულებათა პირველი გამოცემისათვის კი, ჩემი სიკვდილის შემდეგ რუსულ და ქართულ ენებზე, ჩემი სურათით ვუანდერძებ იმავე სასწავლებელს 2.500 მან.

დაურიგდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ მოსამსახურეებს 300 მანეთი საჩუქრად სამსახურში იმ ჯამაგირის ზევით,რაც ერგებათ მათ. ამას გარდა ჩემი სიკვდილის შემდეგეგაც დარჩებიან ჩემს სახლში. ასევე სხვა გარეშე შეგირდებიც სხვადასხვა სასწავლებლისა, რომელთაც მე ვაძლევდი შემწეობას. თუ შესაძლო იქნება, თუ ზემოთ აღნიშნულ ხარჯების შემდეგ გადარჩება რამე,ზემორე მოხსენებულ შეგირდებს მიეცეს ერთდროებითი შემწეობა. აგრეთვე ჯამაგირი მიეცეს არქიელის გორის წმ .გიორგის სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელს.

1894 წლის 19 გიორგობისთვეს ეს ანდერძი ასე შეიცვალა: „სოფელ ბახვის სკოლა,თუ დაიკეტოს ,მასზე შეწირული ფული გადაეცეს ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიას სამუდამოდ. მასვე გადაეცეს ის 600 მანეთიც, რომელიც შევწირე ბახვის შემნახველ-გამსესხებელ კასას თუ ეს კასა დაიკეტოს." დანიშნულება ამ ფულებს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მისცა ასეთი, თუ ეკლესიას გადაეცემა ოდესმე": ეკლესიის საჭიროებისათვის, უმეტესად კი საბრძოლველად უვიცობასთან, სიღარიბესთან და მცხოვრებთა უზნეობასთან -რიგიანი სკოლის საშუალებით.

ანდერძს ხელს აწერენ კანცელარიის ხელოსანი ბესარიონ მანდელი, მღვდელი დავით ნასარიძე, მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი და მელიტონ ცაგარეიშვილი. 1894 წლის 19 გიორგობისთვე.

1896 წლის 25 იანვარს მღდელმთავარი გარდაიცვალა, უჩვეულოდ დიდი ზამთარი ყოფილა იმ წელს ქუთაისში. უამინდობის გამო გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა. მიუხედავად უამინდობისა, საკრებულო ტაძარში მიცვალებულის გადასვენებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მისი გვამი არ გახრწნილა.

ექვთიმე თაყაიშვილი წერდა:„გაბრიელ ეპისკოპოსის სახელით XIX საუკუნის ქართულ მწერლობას მოევ-ლინა შემოქმედი, რომელმაც აღადგინა და ახალ ეტაპზე აღამაღლა უმდიდრესი ტრადიციები ეროვნული სასულიერო ლიტერატურისა. ამ თვალსაზრისით მას ბადალი არ ჰყავდა ბოლო ორი საუკუნის ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ეპ-ისკოპოსის ქადაგებებს მორალური ხასი-ათი ჰქონდა. მისი ქადაგების ფორმა და შინაარსი მრავლად მოიცავს საღვთო წერილებს, სასულიერო მწერლობის ჟანრებს, ბიბლიური ტექსტებიდან ადგილებს ,იგი ქადაგებდა გასაგები „უბრალო ენით." (ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ტ.1, გვ.256).

მოამზადა **მანანა ლომაძემ.**

## სკანვორდი



მარადმწვანე მცენარე

ძვირფასი მეტალი

ჩანჩქერი ამერიკაში

სისხლში რომ საზღვრავენ

მე-9 ასობგერა

ასაკოვანი

კაცის სახელი

ნადირთა მეფე

თანდაყოლილი ოლიგოფრენია

ანაშის მომხმარებელი

ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში"

მეფის ბრძანება

ჯანჯუხა

მოკვეთა

ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი

მოსამართლის მოსასხამი

ვირის ნაშიერი

სოფელი სვანეთში

კანონის წესის შემოღება

სოფელი სამეგრელოში

თევზის კერძი

ქართული ცეკვა

გარეული ფრინველი

ხვიარა მცენარე

მეტყველების ორგანო

ქვევრი

გრაფიკი

ვინც წუწუნებს

ნაბიჯი ცეკვაში

ქართული სამოსი

უსწორმასწორო

ქართველი მსახიობი .... ანთაძე

არსობის პროდუქტი

იარაღის საწყობი

ლაღიძის ოპერა

## № 17-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ტარიელ ჭანტურია; გაზაფხულის ყვავილი — ია; საქათმეში გადებული თამასა — ქანდარა; უბანი ქუთაისში — საღორია; მდელო — კორდი; ჰოლანდიელი დიდოსტატი — ეივე; ყვავილოვანი მცენარე — სოსანი; მე-3 პირის ნაცვალსახელი — იგი; სოლო ოპერაში — არია; ქორს რომ არ ეპუება — ციცარი; ნაგვის ყუთი — ურნა; მცირე ზომის ფრინველი — ალალი; ქალის სახელი — ელეონორა; საგზაო შემთხვევა — ავარია; სტალინის დედა — კეკე; ვაგონი — რონოდა; ფეხბურთელი ... იშტოიანი — ლეონი; თავმომწონე ყვავილი — ნარცისი; რბილის ანტიპოდი — მაგარი; კარგი რომაა ღომსა და ადესაზე — ტარანი; მანჩესტერის თავდამსხმელი — რაშფორდი; კოშკი პარიზში — ეიფელი; კურკოვანი ხილი — ჭერამი; სათვალეც, ცხოველიც — ქამელეონი; კახეთის მარწყულებელი — ალაზანი; ძილის მოკიდება — რული; ქალაქი რაჭაში — ონი; სავაჭრო ობიექტი — ბაზარი; ნოტის აღება — აკორდი; მხარის პირველი პირი — გუბერნატორი; ქალის სახელი — ფეფო; აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი — ობამა; კავშირი — და; უარყოფა — არა; ქალის სახელი — მაია; ქართული შაქარი — აგარა.

## დარბაზი „თამარიონი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



მის: ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №25



კომპანია NOVA-ს ოზურგეთული ბრენდი მაღაზია „ლიზი-2“ გილოცავთ აღდგომას!

მის: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №10ა

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



შპს „მოდერნი 2009“

მის: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №2

## შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!



მის: ქ. ოზურგეთი, გაბ. ეპისკოპოსის ქ. № 1

## შპს „როიალ გაზი" მოგესალმებათ და გილოცავთ აღდგომის დღესაწაულს!



მის: ქ. ოზურგეთი, უნივერსიტეტის ქ. №1

KAIZENI
Building Company

სამშენებლო კომპანია „კაიზენი“ გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს და მზადყოფნას გამოთქვამს თქვენთან ერთად აშენოს ლამაზი და ხარისხიანი! გურიის ქუჩა №5.

კაიზენი
სამშენებლო კომპანია